საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმა მისი საბჭოს წევრის, “აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორის მიმართ მუქარის ინციდენტებს ეხმიანება

„ჟურნალისტიკის რესურსცენტრის“ (JRC) დირექტორი, “საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს” წევრის, “აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი” ნათია კუპრაშვილის პირად ნომერზე უცხო ნომრიდან უკვე მეოთხედ გახორციელდა მუქარის შემცველი ზარი. ბოლო საუბრისას დაუსახელეს მისი სახლის მისამართი და გააფრთხილეს რომ ელიან სადარბაზოსთან.

ეს მორიგი შემაშფოთებელი შემთხვევაა, როცა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებზე, ასევე მასწავლებლებზე ფიზიკური ძალადობის და მუქარის ფაქტებმა ფართო მასშტაბი მიიღო და ორგანიზებული დანაშაულის ნიშნებს ატარებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ოპერატიულად არ ასრულებს მოვალეობას, მსგავსი ფაქტების გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას არ ახდენს მყისიერად.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას და სამართალდამცავ ორგანოებს შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, მყისიერად განხორციერლდეს, ეფექტური და ეფექტიანი რეაგირება, აღმოფხრან ორგანიზებული ძალადობრივი კამპანია. გამოიძიონ ნათია კუპრაშვილის შემთხვევა და მაქსიმალურად უზურნველყონ პირადად მისი და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოება, ისევე როგორც ამ ქვეყნის ყველა მოქალაქის უსაფრთხოება.